**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს**
**გენერალური დირექტორი**

# ბრძანება

**№ 2/104**

10 ივლისი 2014 წ. ქ. თბილისი

**კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს;

2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპირის ქუჩა N4).

**გენერალური დირექტორი** **ნიკოლოზ ანთიძე**

ბრძანება №2/104 10.07.14წ.

დანართი

| N | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. |  | ჰასან იმრან ოღლის მავზოლეუმი №1 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეთი (ძვ. იმირ-ასანი) | არქიტექტურის | XVIII საუკუნე |
| 2. |  | სოფ. სავანეთი მავზოლეუმი №2 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეთი (ძვ. იმირ-ასანი) | არქიტექტურის | XIX საუკუნე |
| 3. |  | სოფ. სავანეთი მავზოლეუმი №3 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეთი (ძვ. იმირ-ასანი) | არქიტექტურის | XIX საუკუნე |
| 4. |  | სოფ. სავანეთი მავზოლეუმი №4 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეთი (ძვ. იმირ-ასანი) | არქიტექტურის | XIX საუკუნე |
| 5. |  | სოფ. ჭაფალა მავზოლეუმი №1 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაფალა (კოჩულო) | არქიტექტურის | XIX საუკუნე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6. |  | სოფ. ჭაფალა მავზოლეუმი №2 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაფალა (კოჩულო) | არქიტექტური ს | XIX საუკუნე |
| 7. |  | სოფ. ჭაფალა მავზოლეუმი №3 | ქვემო ქართლი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაფალა (კოჩულო) | არქიტექტური ს | XIX საუკუნე |